№ 158

კვირა, 3 აგვისტო 1897 წ.

1877—1897

# ივერია

№ 158

კვირა, 3 აგვისტო 1897 წ.

ფასი გაზეთისა:

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227·

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

ორშაბათს, 4 ს აგვისტოს, აწ განსვენებულის ყაზახის ბოქაულის
პორუჩიკის თავადის

**იოსებ ალექსანდრეს ძის აბაშიძის**

გარდაცვალების მეშვიდე დღეს, დილით, 11 საათზედ, ქაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში გარდახდილ იქმნება პანაშვიდი, რასაც აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ და გარდაცვალებულისა ნინო ალექსანდრეს ასული ბუგაევსკისა. (1—151—1)

**გორის სამასწავლებლო სემინარიაში** განმეორებითი ეგზამენები და გასინჯვა ექიმის მიერ ახლად მისაღებ ყმაწვილებისა 26 აგვისტოსათვის არის დანიშნული. 27 აგვისტოს დანიშნულია წერაში გამოცდა, ხოლო 28—ზეპირი გამოცდა იქნება. 1-ლს სექტემბერს პარაკლისი იქმნება გარდახდილი და სწავლა დაიწყება.

თავისუფალი ადგილებია: უმცროსს მოსამზადებელს კლასში—8 (მარტო თათრებისათვის), უფროსს მოსამზადებელს კლასში—11 და პირველს კლასში—2.

(3—6.—1).

**ანასტასიას სახელზედ გორში არსებულ დედათა პროგიმნაზიაში** მისაღები ეგზამენები 26—27 აგვისტოს იქმნება; განმეორებითი ეგზამენები 28 აგვისტოსათვის არის დანიშნული; 1-ლს სექტემბერს პარაკლისი იქმნება გარდახდილი და სწავლაც დაიწყება.

მოსამზადებელ კლასის უმცროსს განყოფილებაში მიიღებიან ექვსის წლისანი და უფროსნიც, თუნდაც რუსული და დედა-ენაზედ წერა კითხვა არ იცოდნენ.

მოსამზადებელს კლასებში წლიურად სწავლის ფასი 26 მანეთია.

(3—6.—2).

**ხობის მონასტრის „იარმუკა“**
(10—17 აგვისტომდე ზუგდიდის მაზრაში)
ამით ვაცხადებთ: 1) კარვები წარსულს წლებზედ უფრო კარგი იქმნება. 2) კარვების ქირაც ნაკლებია სავაჭრო ადგილის მიხედვით: ხუთ მანეთიდგან ათის მანეთის მეტი არ იქმნება, და 3) სადარაჯო ფულიც ნაკლებია, შვიდს დღისთვის გამოერთმევათ მხოლოდ მანეთი თითო კარავისა და ყოველის მხრივ უშიშარნი იქმნებიან მოვაჭრენი.

ხობის მონასტრის წინამძღვარი არხიმანდრიტი სიმეონი

(3—6.—3)

ტფილისი, 2 აგვისტო

წარსულ კვირის პარასკევის ნომერში ერთი საყურადღებო კორესპონდენცია იყო დაბეჭდილი ჩვენს გაზეთში სოფელ პატარძეულიდგან. კორესპონდენტი იწერებოდა, რომ პატარძეულის სასოფლო საქმეების საწარმოებლად ამორჩეულმა თორმეტმა კაცმა ერთის აქაურის ინტელიგენტის რჩევით დაადგინა განაჩენი, რომელშიაც ნათქვამია:

„რაკი ყველამ წინადვე იცის, როდის უნდა გადაიხადოს ქორწილი და ადვილად შეუძლიან, რომ ქორწილის სამზადისი წინა დღითვე დაიმზადოს და ის-კი არავინ იცის, როდის ეწვევა კაცს სიკვდილი და ვერც არავის შეუძლებელს წინადღით არ შეუძლიან სამზადისი დაიჭიროს თავისის ოჯახის რომელისამე წევრის დასამარხავად (ქელეხისათვის), ამისათვის აღკრძალულ იქმნას ქორწილებში შაბაში და შესაწევარი და სამაგიეროდ ქელეხში იქმნას შემოღებული შესაწევარი“.

ამას დასძენდა კორესპონდენტი, რომ რათა ეს განაჩენი მარტო სიტყვად არ დარჩეს და საქმითაც აღსრულდეს, ამ თორმეტმა კაცმა უბან-უბანად გაინაწილეს სოფელი და სცდილობენ მის აღსრულებას, რაც მით უმეტესად უადვილდებათ, რომ ასეთის განაჩენის დადგენა ყველას ესიამოვნა, მოეწონა და სასარგებლოდ იცნე[?]ო. რამდენჯერმე მოუგროვებიათ კიდეც შესაწევარი მიცვალებულ ჭირისუფალთა დასახმარებლად. მერე, როგორ მიჰგებებიან პატარძეულელნი ამ განაჩენის აღსრულებას და რა შედეგი მოჰყოლია? აი, ამის შესახებ რასა სწერს კორესპონდენტი:

„ნათესავნი და გულის-შემატკივარნი არა ჰზოგავენ თითო-ოროლა გროშს და იმ იმედით, რომ თუ დღეს მე შევეწევი ჩემს მონათესავეს, ხვალ მეც ჩავარდები ამ გარემოებაში და ესენიც შემეწევიანო, დიდის სიამოვნებით აძლევს შემწეობას. გარდა ამისა, ის აუარებელი მუქთა-მჭამელი ხალხი, რომელიც ქელეხებში მარტო ჭამისათვის დაიარებოდა, ეხლა იმის შიშით, რომ სირცხვილში ჩავარდებით, რომ არას შევეწიეთ-რაო, ქელეხში აღარ დადიან. ამისთვის მიცვალებულის პატრონს ბევრი ხარჯი აღარა სჭირდება, ვალებს თითქმის აღარ იღებს და მით სიღატაკესაც თავიდამ იცილებს“.

სარგებლობასა და სიკეთეს ამ განაჩენისას, როგორცა ჰხედავთ, პირველშივე უჩენია თავი. რაღა თქმა უნდა, დიდად სასიამოვნოა, რომ სოფელი ჭირსა და ლხინში ეხმარებოდეს თავისს თანამოძმეს, რადგან მარტო ხელი კაცი ყველაფერს ძნელად გაუძლვება, ხოლო სოფელი-კი ღონიერია. უცხო ქვეყნად, განათლებულ ევროპის შვილნი სოფლად ღარიბს გლეხ-კაცს როცა საქონელი გაუწყდება ხოლმე ჭირისაგან, მთელი სოფელი ხელს უმართავს, ღონისძიებას აძლევს საქონლის ყიდვისას და შემდეგ ცოტ-ცოტა, ნაწილ-ნაწილად ახდევინებს. ამისთანა შემთხვევებისათვის იქ კასსებიც არის დაარსებული. ასევე იქცევიან ჩვენი მეცხვარენი მთაში; რომელსამე მეცხვარეს რომ ცხვარი ამოუწყდეს, თითო ფარიდგან ათ-ათ, ოც ოც სულს გაუზიარებენ ხოლმე უსასყიდლოდ და დახმარებას უწევენ ახალის ცხვრის გაშენებისას. ამ გვარად, ასეთი წესი ჭირსა და ლხინში დახმარებისა ჩვენს ცხოვრებაში ახალი რამ არ არის და ჩვენის ხალხის ზნესა და ჩვეულებას იგი არ ეხამუშება, ადვილად შეეთვისება.

სიამოვნებით ვეგებებით რა პატარძეულში შემოღებულს წესს, სასურველად მიგვაჩნია, რომ ჩვენის სხვა სოფლების ინტელიგენტებმაც ასეთივე წესი შემოიღონ თავიანთს სოფლებში და ჭირისუფალი, სულით დამგლოვიარებული, ჯიბითაც არ დაამგლოვიარონ, ვალი არ დაადებინონ, მეტადრე იმიერ საქართველოში, სადაც მიცვალებულთა დასაფლავება ისეთის დიდის ზარით იციან ხოლმე და ალაპს ისეთი დიდი ხარჯი სჭირდება.

ანი

## მთავრობის განკარგულებანი

გამწესებულ იქმნა გ.მგე ციმბარის ნაწილის ჯარის მოძრაობის უფროსი თაყაიშვილი—კოზლოვ-კავკავის ნაწილის ჯარის მოძრაობის უფროსად.

# ახალი ამბავი

*** სამეურნეო და სახელმწიფო ქონებათა სამინისტრო იმ საშუალებათა გასაცნობად, რომელსაც შვეციის მთავრობა ჰლონობს საქონლის მოსაშენებლადა და მერძეობის გასაუმჯობესებლად, სტოკჰოლმში ა. ა. ქალანთარს ჰგზავნის.

*** ქალაქის სასანიტარო-სამკურნალო საბჭომ უკანასკნელ სხდომაზედ გადასწყვიტა აღკრძალოს ესრედ წოდებულ „სპარსული ლიმონადის“ გაყიდვა. როგორც წინადაცა გვქონდა მოხსენებული, ეს სასმელი ლაბორატორიის გამოკვლევით, მეტად მავნებელი ყოფილა კაცის ჯამრთელობისათვის. ამავე სხდომაზედ საბჭომ გადასწყვიტა მიანდოს საბჭოს ექიმს ბ ნ კასუმოვს, რომ მან ყველა ახლად მოტანილი საზამთრო ტფილისის სადგურზედ გასინჯოს და რაც იმაში ცუდი გამოდგება, იქვე მოსპოს ხოლმე.

*** დღეს, 3 აგვისტოს, ნაძალადევის უბანში ქართულის სცენის მოყვარეთაგან წარმოდგენილი იქნება „მზის დაბნელება“. კომედია 3 მოქმედებად ზ. ანტონოვისა.

*** დღეს, 3 აგვისტოს, აკურთხებენ პეტრე-პავლეს სასაფლაოზედ ამავე ეკკლესიის სამზრუნველოს-მიერ აშენებულს სახლს, რომელშიაც წერა-კითხვის გამავრცელებელი სკოლა იქმნება გამართული.

„ტფილისის საკრებულოს“ უხუცესთა საბჭომ გარდასწყვიტა გეოლოგოსთა კრების წევრებისათვის ტფილისის ქალაქის გამგეობას „საკრებულოს“ საზამთრო სადგომი დაუთმოს. ტფილისში 400-დე წევრი ჩამოვა.

*** ალექსანდრეს სამასწავლებლო ინსტიტუტში მისაღები გამოცდა 25 აგვისტოსათვის არის დანიშნული. ამავე ინსტიტუტთან არსებულ სამოქალაქო სასწავლებელში გამოცდა 26 აგვისტოს იქმნება 1-ლის კლასისათვის.

*** საგუბერნიო მმართველობას დუშეთისა და ბორჩალოს მაზ-

# ფელეტონი

## ნაწყვეტი

ამოდი, ამოანათე,
ღამის გუშაგო, რას ელი,
სწორედ იქ დაუსისწორდი,
იქ მიაფინე ნათელი,
იქვე აუწყე ყოველი
მას ჩემის პირით სათქმელი,
სადაც გამეფდა იუდა,
ბოროტი, ქვეყნის მცარცველი!..

ვ. თ—შვილი

## თავად-აზნაურთა კრებანი.

გათავდა ჩვენი თავად-აზნაურობის კრებები, გათავდა ისე, როგორც ყოველი ჩვენი საქმეები გათავდება ხოლმე. შეიყრებიან მხოლოდ ჩვეულების გამო და, თითქო ჩვეულების ძლიერებას ვერ გაჰქცევიანო, ცხელის ზაფხულის რამდენსამე დღეს უნდა გამოიხარშნენ ქუთაისსა ან ტფილისში. ჩქარობენ (სიცხე-პაპანაქება აწუხებთ) მალე მიაღწიონ უმთავრესს აზრს კრებისას: კენჭის ყრას, რათა ესა თუ ის კანდიდატი ამოირჩიონ, ან სხვისის ჯიბრის გამო, ან იმიტომ, რომ აჩვენონ თავისის მადლობით აღსავსე გული ამა თუ იმ კანდიდატს, დაანახვონ, რომ ქართველმა კაცმა პურ-მარილის დავიწყება არ იცის.

ათასი მძიმე საგანი ჩვენის ცხოვრებისა, ათასი საჭირო საქმე არავის ეპიტნავება, არავის ეინტერესება. უმეტესი ნაწილი წევრთა და თავმჯდომარე კრებისა (სიძუნწეში კი არ ჩამოართვათ) ჰყვირის „კენჭი“, „კენჭიო“, „ყუთი“, „ყუთიო“ და ელვასავით სიჩქარით მიისწრაფიან ამ ბედნიერის წუთისაკენ.

კაცმა რომ სთქვას, მცირე მნიშვნელობა-კი არა აქვს ამ კენჭის ყრასაც რომელსამე მოხელის ამოსარჩევად, რადგან რამდენისამე ხნით მთელი საქმე მის ხელთ იქმნება და იმისაგან იქმნება დამოკიდებული ამ საქმის ავად თუ კარგად წაყვანა, მაგრამ ხათაბალა ის არის, ასეთის საქმიანის თვალით როდი ვუცქერით ამა თუ იმ კანდიდატის ამორჩევას. ჩვენ მხოლოდ ის გვაინტერესებს, ამოვარჩიოთ ჩვენთვის პირადად სასიამოვნო, ან საპრიანო კაცი, სხვა-კი წყალსა და მეწყერს წაუღია.

როცა სხვა ქვეყნებში საზოგადო საქმის მმართველებს ირჩევენ, წინადვე იციან, რომელი კანდიდატი რა გზას დაადგება, რადგან ყველა მათგანი თავისს პროგრამმას საქვეყნოდ აცხადებს. ხოლო ჩვენ, რა-კი ასეთს სისტემას არ მივსდევთ, თვით საზოგადო კრებამ უნდა დაუსახოს მოქმედების პროგრამმა მეთაურს. ეს პროგრამმა შემუშავდება ერთის მხრით წარსულის მეთაურის მოღვაწეობის კრიტიკით და, მეორეს მხრივ, სხვა-და-სხვა საგნების განსჯით და ამა თუ იმ საგნის შესახებ უმრავლესობის მსჯავრისდადებით.

ჩვენ ყოველსავე ამას ვივიწყებთ და არიქა, გვიშველეთ, „კენჭი“, „კენჭი“, ყუთები დადგით, ჩქარა, ჩქარა!“ გავიძახით, თითქო ცეცხლი ეკიდებოდეს რასმე და ცეცხლის მქრობელ რაზმს ვიწვევდეთ. მართალი მოგახსენოთ, ცეცხლი-კი ეკიდება ჩვენს საქმეებს, მაგრამ წყლის მაგიერად ნავთს ვასხამთ ზედა.

წრევანდელ კრებათა შესახებ ის უნდა ითქვას, რომ იმერეთის თავად-აზნაურობამ გაცილებით აჯობა ტფილისის თავად-აზნაურობას, რომელიც აქამდის მთელს საქართველოს მისაბაძავად მიაჩნდა. იმერეთის თავად აზნაურთა მომხრეობას ნურავინ დამწამებს, ხოლო უნდა აღვიარო სიმართლე, რომ ბევრ ცუდთან, ერთი კარგი თვისება აქვთ საზოგადოდ დასავლეთის საქართველოს მკვიდრთ, ბუნებრივი სიცხოვლე და სიმკვირცხლე გონებისა, ადვილად შეგნება საქმისა, ადვილად გაიგებენ ხოლმე საქმის საზოგადო მნიშვნელობასა და კერძო სარგებლობას და თუ რაიმე ქვენა ინტერესებმა არ გაიტაცეს მეტის-მეტად, ყოველთვის მიხვდებიან კეთილსა და მადლიანს აზრსა, რჩევასა, და დიდის თანაგრძნობით ეკიდებიან ასეთს საგანსა. სწორედ ამ თვისებებს უნდა მივაწეროთ ისიც, რომ იმერეთის თავად-აზნაურობის წრევანდელმა კრებამ მეტად დიდ მნიშვნელოვანი და ფრიად საჭირო საგნები აღძრა და ეს საგნები ჰეშმარიტს გზაზედ დააყენა და საზოგადოებისათვის სახეიროდ გარდასწყვიტა. დასავლეთის საქართველოს წრევანდელმა კრებამ დაადგინა ითხოვოს ერობის დაწესებულების და ნაფიც მსაჯულების ინსტიტუტის შემოღება, ქუთაისის ბანკის საქმეების გაწეს-რიგება. თუ ღმერთი შეეწია იმერეთის თავად-აზნაურთა საქმის გამგეთ და ყველა ესე სისრულეში მოიყვანა, ან ზოგიერთი მაინც, საუკუნო საშვილიშვილო საქმე იქმნება, ფრიად საჭირო და მიუცილებელი ჩვენის ერისათვის. შეიძლება ამ საქმეთა კეთილად გარდაწყვეტა მიეწეროს იმასაც, რომ ოღონდ-კი მალე „ყუთები“ დაედგათ სატრფიალო კანდიტატთათვის, მეტი

რის უფროსთაგანაც მიუღია მოხსენება იმის შესახებ, თუ ადგილობრივს საერობო დარაჯთა რაოდენობას რამდენი ახალი სადარაჯო სადგური და დარაჯი უნდა მოემატოს. დუშეთის მაზრის უროსი თხოულობს, რომ ურიადნიკების რიცხვი 8-დგინ 14 იქმნას აყვანილი, ხოლო ცხენოსან დარაჯთა რაოდენობა 57-დგან 73 მდე იქმნას გამრავლებული. ბორჩალოს მაზრის უფროსი თხოულობს, რომ 9 ურიადნიკს 19 კიდევ მიუმატონ და ცხენოსან დარაჯთა რიცხვი 52 დგან 163-მდე აიყვანონ.

ამ რიგად მთელს გუბერნიაში 156 სადარაჯო სადგური იქმნება, რომლებსაც 101 ურიადნიკი და 852 ცხენოსანი დარაჯი ეყოლებათ დანიშნული.

საერობო დარაჯთა ინსპექტორის აზრით, საჭიროა ურიადნიკებს ჯამაგირი მოემატოთ 300 მანეთამდე, ხოლო დარაჯებს—240 მან., სახელმწიფო საძოვარი მიწები და „ბერდანის“ სისტემის თოფები მიეცეთ.

⁂ მისმა უმაღლესობამ ბუხარის ემირმა მირ სეიდ-მირ-აბდულ-ახადხანმა დეპეშა მიიღო ბუხარადგან, და გუშინ-წინ, 1 აგვისტოს, დილის 8 საათზედ, საგანგებო მატარებლით წავიდა ბაქოში, საიდგანაც თავის სამფლობელოში წავა. წასვლის წინად მის უმაღლესობამ ბევრს დაურიგა ორდენები და სხვა-და-სხვა საჩუქრები. სხვათა შორის კავკასიის მთავარ-მართებლის თანაშემწეს გენერალ-ლეიტენანტს ა. ა. ფრეზეს — ბუხარის პირველი ხარისხის ვარსკვლავის ბრილიანტის ორდენი უბოძა; პირველი ხარისხის ოქროს ვარსკვლავები მიიღეს: კავკასიის შტაბის უფროსმა გენერალ-მაიორმა შუტლევორტმა, კ. ნ. რეიტერმა და ტფილისის ვიცე-გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელმა ამიროვმა; პირველი ხარისხის ვერცხლის ვარსკვლავი — გენერალ-მაიორმა სტარიკოვმა; ტფილისის კომენდანტმა ი. ნ. რეიტერმა — ოქროს თასი მოსევადებული; ტფილისის მაზრის უფროსმა თავ. ჯანდიერმა — ოქროს ვარსკვლავი მეორე ხარისხისა; მესამე ნაწილის ბოქაულის თანამდებობის აღმასრულებელმა გედევანიშვილმა — ვერცხლის ვარსკვლავი მეორე ხარისხისა; პოლიცმეისტერის თანამდებობის აღმასრულებელმა ზ. ტ. ლოლაძემ — ხალიჩები, ხალათები, და სხვა საჩუქრები. ბ-ნს ბრონ-ფონ ბრენერს — ოქროს ვარსკვლავი მესამე ხარისხისა. ესევე ჯილდო მისცა მართებელს მესამე ნაწილისას რუმანს, საპატიო მოქალაქეს ბაბანასოვს და პოლიციის ბოქაულს კუზმინსკის.

წასვლის წინა დღეს ბუხარის ემირს გენერალ-მაიორმა რეიტერმა ნავთლუღში სადილი გაუმართა, რომელზედაც დაესწრნენ ტფილისის გუბერნატორი თ. ა. ბიკოვი, გენერალ მაიორი თავ. ორბელიანი და სხვანი. სადილის დროს უკრავდა ბავშვთა ორკესტრი, საზანდარი და ზურნა. მისი უმაღლესობა ძალიან კმაყოფილი დარჩა, დიდად მოეწონა ლეკური და ორს მოლეკურეს იქვე მიუბოძა ვერცხლის მედლები, ხოლო ბავშვ მემუსიკეთ ფულად აჩუქა 100 მანათი.

⁂ ფოთში გამართულ იქმნა საყოველთაო ტელეფონი მთავრობის ხარჯით და 24 ივლისს უკვე დაიწყო მოქმედება

⁂ ბათუმში ვაჟების გიმნაზია სექტემბრის 1-ლში გაიხსნება.

⁂ როგორც გაზ. „ნოვ. ობოზრენიეს“ სწერენ ყაზახიდგან, ერთი იმ ყაჩაღთაგანი, რომლებიც 29 ივლის დაუხოცნია პოლიციას, მაჰმად აბეზარ-ოღლის ძმა ყოფილა.

⁂ როგორც სიღნაღიდგანა სწერენ გაზეთს „ნოვ. ობ.“-ეს, სამოსწავლო მთავრობას განზრახვა აქვს თურმე 1,000 მან., რომელიც ქვემო მაჩხაანის ნორმალურ სკოლისათვის უნდა მიეცა სახელოსნო კლასების დასაარსებლად, უკანვე დააბრუნოს და სხვა რომელსამე სასწავლებელს მისცეს, რადგანაც ქვემო მაჩხაანს დღემდის კლასები არ გაუხსნიაო.

⁂ როგორც გაზეთ „ნოვოე ობოზრ.“-ს ატყობინებენ, ს. ჩოხატაურსა და საჯავახოში აგრონომს თავ. ერ. ნაკაშიძეს ფილოქსერა აღმოუჩენია.

⁂ გაზ. „ტფილისის ფურცელს“ სწერენ, რომ სიღნაღის მაზრის სოფ. ნაფარეულში საფილოქსერო დასს ბლეკ-როტი აღმოუჩენიაო. საფილოქსერო კომიტეტს აგრონომი იანჩევსკი გაუგზავნია იქ ავადმყოფობის დაჭეშმარიტებით გამოსაკვლევად. თუ მართლა აღმოუჩენიათ ბლეკ-როტი სიღნაღის მაზრაში, მაშინ ნაფარეულში არ იქნება, რადგან სოფ. ნაფარეული თელავის მაზრაშია და არა სიღნაღისაში, როგორც „ტფილისის ფურცელი“ ამბობს.

⁂ როგორც გაზ. „კავკაზს“ შეუტყვია, საჭირო მასალა თელავის მაზრის, მდ. ჩელთის შესამოწმებლად, რომელიც ნიაღვრების დროს დიდს ზარალს აყენებს სოფ. შილდას, მთავრობამ ნება დართო ახლო-მახლო მდებარე სახელმწიფო ტყეებიდგან იქმნას გამოტანილი.

⁂ სოფ. ჯიმარა-მთა (კავკავის მაზრა). აქ გამოჩნდა, სხვა-და სხვა მადნეულობა. ეს მადნეულობა მთა იჯარით აიღო თავად ტრუბეცკოის „ამხანაგობამ“ და კიდეც შეუდგნენ ყარანდაშის მიწის თხრას, რომელსაც კავკავში ეზიდებიან.

## ქართულის თეატრის საქმე.

ხუთშაბათს, 7 აგვისტოს, დანიშნულია კრება ახლად შემდგარ ამხანაგობისა, რომელმაც მომავალ სეზონში უნდა განაგოს ქართულ წარმოდგენების საქმე. ამხანაგობის მიერ არჩეულმა კომისიამ (პ. ყიფიანი, გ. გძელიშვილი, კ. მესხი)—უკვე გაათავა ის საქმე, რომელიც მას მიანდო ამხანაგობამ, შეადგინა რეპერტუარი, სია იმ არტისტებისა, რომლებიც მოწვეულ იქმნებიან, ხარჯთ-აღრიცხვა არტისტების ჯამაგირების რაოდენობისა და სხვ. ამ კომისიამ შეადგინა აგრედვე სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვა მომავალ სეზონის შემოსავალ-გასავლისა. ხარჯთ აღრიცხვიდგანა სჩანს, რომ ამხანაგობას განზრახვა აქვს გამართოს მომავალ სეზონში 30 წარმოდგენა. შემოსავალს მოელიან სულ 12,000 მანათს, ხოლო ხარჯი-კი წარმოდგენების გასამართავად 4000 მანათით აღემატება შემოსავალს. ამ 4000 მანათიდგან 500 მანათის გასტუმრებას კისრულობს დრამატიულ საზოგადოების მმართველობა, ხოლო დანარჩენი 3,500 მანათი უნდა გადიხადოს თვით ამხანაგობამ. ზემოხსენებულმა კომისიამ გადასწყვიტა შეადგინოს სარეჟისორო კომისია, რომელიც სამის წევრისაგან შესდგება. ორი წევრი უკვე არჩეულ იქმნენ: გ. ჟურული და ვ. სულხანიშვილი. კომისიის მიერ გარდაწყვეტილი საქმე თეატრის მართვისა ხუთხაბათს, 7 აგვისტოს, წარედგინება ამხანაგობის კრებას განსახილველად.

ჩვენ გვითხრეს ამასთანავე, რომ ზემოხსენებულ კომისიას გარდაუწყვეტია მომავალ სეზონისათვის მოიწვიოს აგრედვე ახალი არტისტები, რომელთაც ჯერ ტფილისში არ უთამაშნიათ და ამიტომ მათ გამოსაცდელად განზრახვა აქვთ სეზონის დაწყებამდე გამართონ ერთი წარმოდგენა. რაც შეეხება ძველ არტისტებს, გარდაწყვეტილია, რომ ყველას მოიწვევენ მომავალ სეზონისათვის.

## ფოთის ავ-კარგი.

ფოთის ავ-კარგზედ ბევრი რამ მაქვს სათქმელი, მაგრამ ამას გადავდებ შემდეგისათვის და დღეს ვიტყვი ერთს ამბავზედ, რომელიც აღელვებს აქაურს ხმოსნებს და აშფოთებს აქაურს მკვიდრთ. ფოთელებს გამოუჩნდათ შესანიშნავი კაცი, რომელიც ძველის-ძველის დროის ჰეროსტრატს ათის თაბახით აჭარბებს. ბერძენმა ჰეროსტრატმა შესანიშნავი ტაძარი დიანისა დასწვა და ამითი უკვდავ ჰყო თავი თვისი. ფოთელი ჰეროსტრატი-კი ერთს და ორს საქმეს-კი არ სწვავს, აფუჭებს და ახდენს, არამედ ყოველ კეთილდაწყობილობას ეწინააღმდეგება. რაც ნ. ი. ნიკოლაძე ჰანიშნეს ფოთის ქალაქის თავად, ამ მადლიანმა, საოცარის ენერგიის მქონმა, საოცარის ცოდნის და ნიჭის პატრონმა კაცმა სისხლი ოფლად ჩაღვარა და კიდეც ჰღვრის, რომ ფოთი ფეხზედ წამოაყენოს, ქალაქს დაამგზავსოს და ძველი დიდება დაუბრუნოს, თუ სრულად არა, ნახევრად მაინცა. უნდა მოგახსენოთ, რომ ფოთში საქმის გაკეთება ძალიან საძნელო იყო, რადგანაც წინანდელმა ქალაქის თავებმა „ნისლსა და ბურუსს“ მისცეს ფოთი და მისი საქმეები ლოცვითა და შემწეობითა სხვა-და-სხვა ხრიკოსანთა. ბ-ნ ნიკოლაძეს სიზიფის ქვის ზიდვა შეხვდა: აიტანს ამ ქვას ძალიან სუბუქად მთის წვერზედ, ჩაუდებს საფუძველში თავს, აი უნდა დაფლან ეს კუდიანი ქვა, მაგრამ გაჩნდება ჩუმად ფოთელი ჰეროსტრატი და სიზიფის ქვა მორბის თავდაღმა გრიალ-გრიალით. სწორედ სიზიფის ქვა გაუხდა ბ-ნ ნიკოლაძეს ფოთის ბოღაზის გადაკეთების საქმე. დიდის ცდითა და მეცადინეობით ბოღაზის გადაკეთების საქმე სანატრელად გააკეთა. გამოიცა ობლიგაციები, საკანონმდებლო კრებულში დაიბეჭდა ფოთის ბოღაზის გადაკეთების ნება; ფოთის ქალაქის გამგეობამ ობლიგაციების ტირაჟიც მოახდინა ამ წლის აპრილში, საქმე მისდგა ეგრედ წოდებულს „რეალიზაციაზე“ და უცბად ზემოდ დასახელებულმა ჰეროსტრატმა აფრინა ქაღალდი მთავრობასთან და საქმე შეაყენებინა და ამით ნახევარის წლით შეაყოვნა ბოღაზის გადაკეთების დაწყება. მაგრამ ამ ვაჟბატონის ხრიკებსაც დაუდგა ავდარი: ბ-ნმა ნ—ძემ წაავლო სწორედ მარჯვენა ყურში ხელი და 15 ივლისს საბჭოს კრებაზედ წინ დაუყენა კრებას.

ამ საბჭოს კრებაზედ გასარჩევად იყო წარდგენილი გამგეობისაგან ცამეტი საქმე; უმთავრესი მათგანი იყო მოხსენება გამგეობისა, რომ შესდგეს კონდიციები იჯარით გასაცემად ფოთის ბოღაზის გადაკეთებისა, მაგრამ ამ საგანს წინ ჰქონდა წამძღვარებული მოხსენება გამგეობისა აქაურ ჰეროსტრატის საკუთარის აზრისა გამო. ეს აზრი პირდაპირ გაუგზავნია ქუთაისის სამხედრო გუბერნატორთან და შეიცავს ათას გვარს საჩივარსა და ყვედრებას. აქ ყველას თვალ-წინ გადაეშალა ის, თუ რა გვარად ცდილა ხსენებული ჰეროსტრატი საქმეების დაბურდვას და ჩაშლას. მაგრამ ამაზედ შემდეგში დაწვრილებით მექნება სჯა და ბაასი და ამიტომ ვსწყვეტ ლაპარაკსა. ხრიკების გამოაშკარავების შემდეგ, ქალაქის თავმა მოახსენა საბჭოს, რომ ბოღაზის გადაკეთების საქმე სრულიად გათავდა; ყველა მინისტრებმა ხელი მოაწერეს და საქმე ამ დღეებში ჩამოვა ტფილისში მთავარმართებელთან და მანამდე ჩვენ უნდა დავამზადოთ იჯარადრისათვის პირობანი, ამისათვის ავირჩიოთ კომისია, რომ შეიმუშავოს კანდიციები, რათა საქმეს ულოდინარად არ შევხვდეთო.

---

არა უნდოდათ რა, გინდ დაგეღუპათ და გინდ გაგეკეთებინათ ჩვენი ქვეყანა, მაგრამ ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ „ჰო“-ს მაგიერ ამ საგნების შესახებ „არაც“ შეეძლოთ ეთქვათ, მით უმეტეს, რომ ფანდები ჩვენ მიერ „კალისტრატიზმად“ მონათლულის მიმართულებისა ყოველთვის მზად არიან კეთილს წინააღუდგენ და მიწაზედ განართხონ.

ხოლო აღმოსავლეთის საქართველოს თავად-აზნაურთა წრევანდელს კრებას-კი სწორედ ვერ შევადარებთ იმერეთის ამგვარსავე კრებან.

წრევანდელს კრებას ისეთი თავმჯდომარე და მმართველი გამოუჩნდა, რომ სწორედ გასაოცარია სიდინჯე და მოთმენილობა, თავ-დაჭერილობა და შეიძლება გადაჭარბებული გულ-გრილობაც აქაურის თავად-აზნაურობისა, რომელიც კრინტ-დაუძვრელად უყურებდა კრების ყოველის უფლების გადალახვასა და გათელვას. შარშანდელი ბანკის კრების გამგე გაგვახსენდა და ვცანით, რომ ამ ორთა გამგეთა შორის ორგანიული და სულიერი დიდი თვისტომობა უნდა იყოს კავშირი და ის ნიადაგი, რომელზედაც დამყარებულია და იყო მათი ძალი, რომელშიაც აქვს საფუძველი იმათ ბატონების თავისებურობას, ერთნაირია, — ეს გახლავთ ერთგვარი უცნაური მიმართულება, რომელსაც დაადგა ჩვენი საზოგადოება ამ ბოლოს დროს. ეს გახლავსთ ერთის მხრივ ის გულგრილობა, რომელსაც იჩენენ საუკეთესო კაცები საზოგადო საქმის შესახებ, ხოლო მეორეს მხრით ის გაცხარებული და გაშმაგებული სურვილი საზოგადო ასპარეზზედ თავის გამოჩენისა, რომლითაც აღვსებულია გული „ულირსთა“ და „გამოუსადეგართა“. ეს გახლავსთ დაქვეითება საზოგადოებრივის გრძნობისა იმ ჯგუფის წარმომადგენელთა შორის, რომლისათვისაც ბუნებასა და ცხოვრებასაც მიუმადლებია ნიჭი საზოგადო საქმეთა მართვისა და საშუალება (რასაკვირველია, ზნეობრივი) ამ საქმეთა კეთილ გზაზედ დაყენებისა. ეს გახლავსთ საზოგადო სენი ჩვენის ერისა დღევანდელს დღეს: სრული აპატია, სრული მივიწყება თავისის მოქალაქობრივის მოვალეობისა, სრული მოსპობა მტერთან შებრძოლების კანონიერისა და ბუნებრივის სურვილისა, და რაღაც უცნაური მოთმინება, რომლის მქონებელთ აღარაფერი არ აღელვებთ ძლიერ და არ იწვევს ბოროტებასთან საბრძოლველად. სწორედ ეს მიზეზი იყო, რომ წრევანდელი მეთაური მეთაურობდა და, ეს კიდევ არაფერი, ამ მეთაურმა საუკეთესო და უმძიმესი საგნები მიჩქმალა, საუკეთესო და უგონიერესს კაცებს ენა შეუბორკილა „კანონის მიერ მინიჭებულის უფლების ძალით“ და ხმის ამოღების ნებას არ აძლევდა მისთვის არა სასიამოვნო წევრთ. აქაო და თავმჯდომარე ვარო, რაცა მსურს, იმას აღვასრულებო და კრებაც თითქო tacitu concensu (დუმილით) დასტურს აძლევდა იმისს აზრებს.

ერობის საქმე არხივში ჩაიდვა ამ კრების ამავე გამგეს მოწყალებით, რადგან კომისსიას გარდასცეს შესამუშავებლად, უთუოდ იმ იმედით, რომ ეს საქმე საუკუნო განსასვენებელს მისცენ. კომისსიაც ამოირჩიეს 1894 წელში, მიანდეს ამ პროექტის შემუშავება, პროექტიც შეიმუშავეს... მაშ ეხლა რაღა კომისსიაა საჭირო?.. კომისსია ხერხი გახლავთ, ხერხი საქმის დაობებისა და დალპობისათვის მოგონილი, მერე კიდევ თუ ამ კომისიის მოქმედებას, ისეთი თანამგრძნობი ბატონი ჰყავს, როგორიც ეხლა.

კახეთის რკინის გზის შესახებ მსჯელობაც შეუძლებელი გახდა. თავჯდომარე ყოველ მისგან დაწუნებულის ორატორის სიტყვას წაუმძღვარებდა ხოლმე შესავალს, ამას აგიტაციის გულისთვის ამბობს, ჩემი გაშავება უნდაო (თ. ნ. ზ. ჩოლოყაშვილის სიტყვის გამო).

წამოაყენეს ფრიად შესანიშნავი საგანი ქართველის თავად-აზნაურობის შვილების აღზრდისა, რომელიც დაკვირვებულსა და დინჯს კამათსა და მსჯელობას ითხოვდა. ჩინეთის მანდარინობა დაიჩემეს იმათ, ვისიც ჯერ იყო (თუ არ იყო), არც აცივეს, არც აცხელეს, არავის თურმე არ დაეკითხნენ, როცა დრო იყო (ან კი რა ყურადღების ღირსია ვისიმე აზრი?) და რაღაც მიჩმახ-მოჩმახეს. ან-კი რას უნდა მოელოდეს თავად-აზნაურობა იმ მეთაურისაგან, რომელმაც ისიც-კი არ იცის, თუ როგორ ვსარგებლობთ ან გვასარგებლებენ ჩვენდა მონიჭებულის უფლებებით. (გაიხსენეთ, თავ. ივ. ამილახვარი რომ შეეკითხა ქართველ თავად-აზნაურების შვილთა სტიპენდიის შესახებ.) ამ საგანმა საზოგადოდ-კი მიიპყრო ყურადღება უავგუსტოესის კავკასიაში ნამესტნიკად ნამყოფისა და ფინანსთა მინისტრისა, იმათაც აღნიშნეს ჩვენი უმწეო მდგომარეობა შვილების აღზრდის საქმეში და ჩვენი უსამართლოდ დაჩაგვრა, ჩვენ-კი და ჩვენი მეთაურები დაღე-

აქაც იჩინა თავი ფოთელმა ჰეროსტრატმა. „სად გახლავთ ხარჯთ-აღრიცხვა?“ იკითხა ამაყად. ყველამ პირები დაალო, ყველას ელექტრონივით გაუარა თავში აზრმა: „უხარჯთ-აღრიცხვოდ როგორ გარდასწყდებოდა ბოლაზის გადაკეთების საქმეო“. ბ-ნ ქალაქის მოურავს ვერც აქ გაუძვრა ხელიდამ, კვლავ წაავლო ყურში ხელი და ბავშვივით დასვა სკამზედ: ანიდამ ჰოემდე მოუყვა ბ-ნი ნიკოლაძე მთელის საქმის გარემოებას, აღმოჩნდა, რომ ყველაფერი წარდგენილი იყო სადაც ჯერ არს: გეგმაც, ანგარიშიც, ხარჯთ-აღრიცხვაც დ ჯანდაბა და დოზანაც. მაგრამ რა აწუხებდა თურმე ჰეროსტრატს? ქალაქის თავმა მოახსენა საბჭოს, რომ ინჟინერი მეიერი მოერიდა საჩივარს და ხარჯთ-აღრიცხვაში ფასები ნაკლები აჩვენებია. ჰეროსტრატს ეგონა, რომ ეს გარემოება შეუშლიდა ხელს „პორტის“ საქმეს და სურდა გაეკო შედეგი ამისი და დამტკბარიყო, უკეთუ მისი განზრახვა გაიმარჯვებდა. ასე და ამ გვარად მშრალზედ დაჯდა ბ-ნი ლ—კი და მისმა განზრახულმა იდეებმა ხორცი ვერ შეისხეს. საბჭომ აირჩია კომისია, რომელმაც უნდა შეიმუშაოს პირობანი. გუშინ-წინ ბ-ნმა ნიკოლაძემ დეპეშა მიიღო პეტერბურგიდგან, რომ ფოთის ბოლაზის საქმე 17 ივლისიდამ გამოიგზავნა ტფილისს მთავარმართებელთანაო. იმედია, რომ შემოდგომაზედ დაიწყება მუშაობა.

სხვა საყურადღებო საგნებზედაც იყო სჯა საბჭოში 15 ივლისს, მაგრამ დღეს მე მსურდა აღმენიშნა მხოლოდ ნავთსადგურის საქმის დაბოლოვება და ფოთელის ჰეროსტრატის ცდა და მეცადინეობა მისის ჩაშლისა.

კიკია

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

**სოფ. ლამისყანა,** (ქსნის ხეობა), 28 ივლისი. დადგა ზაფხული და ხალხმაც მიჰყო ხელი საზაფხულო საქმეს. თივები დათიბა და დაზვინა, ყანები დამკა და დადგა. მაგრამ ვაი უბედურებავ!... დადგა, მაგრამ ამაზედ შორს ვეღარ წავიდა ვეღარ გალეწა. დაიწყო საშინელი წვიმიანი ამინდები. ეს ორი კვირა არის, რაც ზედიზედ სწვიმს და უფუჭებს ხალხს ნალეწსა და ნამკალს, ამ მკირფას დროს კაცს თავი ვერ გამოუყვია სამუშაოდ. საცოდავს ხალხს ჯერ ზამთარშივე შემოაკლდა ჭირნახული, აქეთ-იქით დადიოდა სასყიდლად, და ეხლა ხომ სულ უფრო უკიდურეს მდგომარეობაში ჩავარდა. თუ ვინმე მოასწრო და ორიოდე კალო გალეწა, ან თითონვე გაათავა, ან კიდევ სხვას ასესხა. დანარჩენი ხალხი საცოდავობაში არის, თუ ამისთანა ამინდმა დიდხანს გასტანა, უსათუოდ აქეთ შიმშილი ჩამოვარდება. ლამისყანელების ავლა-დიდება ვენახები იყო და არის კიდეც, მაგრამ ამ ბოლოს დროს ავადმყოფობამ ძალიან მოუშხამა და ლამის არის ეს უკანასკნელი სახსარიც გაუწყვიტოს.

ლამისყანის არა სასიამოვნო სურათი ამით არ თავდება; ამ უბედურებას მიუმატეთ ხალხის უვიცობა და სულით დაცემა: ამას წინად აქ გახლდათ სასოფლო ყრილობა „სუჯიების“ თანადასწრებით. სხვათა შორის ლაპარაკი ჩამოაგდეს ჩარჩების მავნებლობის შესახებ, მაგრამ გასაოცარი ის გახლავთ, რომ ხალხმა ისეთი ჩარჩები დასტოვა უყურადღებოდ და აუღაგმავად, რომელნიც წურბელასავით ასხედან განზედ და ნელნელა სწუწნიან და რომელნიც დღეს თუ ხვალ მთელ სისხლს გამოსწოვენ, დასტოვეს უყურადღებოდ ისეთი ჩარჩები, რომელთაც შეუძლიანთ დღესვე ნასყიდი სოფელი ხელში ჩაიგდონ საკუთრებად და რომელნიც დღეს თუ ხვალ იზამენ კიდეც ამ საქმეს. აუჯანყდნენ საცოდავს მეწვრილმანე ურიებს, რომელნიც თავისს დღეში იმ ვნებასა და იმ ჭირს ვერ დაატრიალებენ სოფელში, რასაც სხვა ჩარჩ მედუქნეები, და აღუკრძალეს სოფელში ვაჭრობა. ეს იმასა ჰნიშნავს, რომ კაცს კისერზედ ტვიფი აჯდეს, ჰკბენდეს და სწოვდეს, იმას ხმა არ გასცეს და იქვე მუხლზედ გადამხტარს რწყილს-კი გამოუდგეს და ერთი ყოფა დააწიოს. სწორედ ამაზედ მოგვხსენეთ წელან ხალხის უვიცობა და სულმდაბლობა. რას მოასწავებს ეს მაგალითი, თუ არ ხალხის ზნეობით დაცემას და სულით დაკნინებას? იმოდენად დაეცა ჩვენი ხალხი სულით და იმდენად დაებნა გონება, რომ თეთრი შავისაგან ვეღარ გაურჩევია, თავისი მტერი და მოყვარე ვერ უცვნია, და თუ უცვნია მტერი, მერე საათშივე გადასულა თავისს სინიდისს და ერთს ჭიქა არაყზედ სახალხო ყრილობაში მოყვარედ დაუსახელებია და თავისივე მწოვნელი მგლეჯელი და გამათახსიერებელი თითონვე გულში ჩაუკრავს. სავალალო კიდევ ის არის, რომ თუ ვინმე მოიპოვება სოფელში ნასწავლი კაცი, არც იმას აქვს გასავალი. გლეხი კაცი ისეთის ეჭვიანის თვალით უყურებს ამ კაცს, რომ ათასი უთხრა იმის სასარგებლო, ერთსაც არ დაიჯერებს. ასეთივე მოკლენა გახლდათ წელს სკოლის შენობის აგებაზედ.

გ. საყვარელიძე

## რუსეთი

—

სამეურნეო და სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ კოვნის საბაღოსნო საზოგადოებას ნება დართო, რომ 7-დგან 11 სექტემბრამდე ქ. კოვნოში ბაღოსნობისა, მებოსტნეობისა და სხვა და-სხვა ნაყოფის გამოფენა გამართოს.

— გზათა მინისტრის ბრძანების თანახმად, რკინის გზათა დეპარტამენტმა მიწერილობა გაუგზავნა რკინის გზათა ყველა გამგეობას, რომ თვალ ყური ადევნონ და რკინის გზით მოგზაურ ებრაელებს საზოგადო სამგზავრო ვაგონებში და აგრეთვე სადგურებზედ ნება არ მისცენ, რომ ილოცონ და იგალობონ ხოლმე.

— საიმპერატორო საარქეოლოგო კომისიის ერთ-ერთს სხდომაზედ, რომლებიც შემოდგომაზედ ექნება კომისიას განხილულ იქმნება საგანი იმის შესახებ, რომ შესანიშნავ ისტორიულ ნაშთთა შესაკეთებლადა და განსაახლებლად ყოველ წლიურად ფული იქმნას ხოლმე გადადებული.

— შინაგან საქმეთა სამინისტროში საავადმყოფოთა წესდების გასინჯვის დროს განხილულ იქმნება ერობათა შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ ქალაქისა და ერობის მხრივ ავადმყოფთა წამლობის შესახებ მათნი მოვალეობანი განსაზღვრულ იქმნენ.

— შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეურნეო დეპარტამენტში უკვე შესდგომიან იმის შემუშავებას, რომ დეპარტამენტთან განსაკუთრებული განყოფილება იქმნას დაარსებული საერობო გზათა საქმეების წარმოებისათვის.

— 1897 წლის პირველ ნოემბრიდგან, პრივატ-დოცენტის ა. ნ. გრენის რედაქტორობით ქ. კიევში ახალი ყოველდღიური გაზეთი „რუსეთი და აზია“ გამოვა. გაზეთს სატახტო ქალაქების გამოცემათა უფლება არ ექნება და ყოველივე მასალა, ვიდრე დაიბეჭდებოდეს, ცენზორის ხელში გაივლის.

— სამეურნეო და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროსთან ამ წელს გაზაფხულზედ უმაღლესის ნებართვით დაარსებულმა საგანგებო კომისიამ, რომელსაც მინდობილი ჰქონდა სამხრეთ რუსეთში დასაარსებელ ავადმყოფ და სუსტ ბავშვებისათვის სამკურნალო სასოფლო-სამეურნეო ახალშენის გამართვის შესახებ პროექტი შეემუშავებინა, თავისი მუშაობა უკვე დაასრულა. როგორც კომისიის მიერ შემუშავებულ პროექტიდგან სჩანს, ახალშენი დაარსებულ იქმნება იმ აზრით, რომ ახალგაზდათ, ასე 12—16 წლისათ, რომელთაც ჯანის სიმრთელე აკლიათ, საშუალება მიეცეთ და სოფლის მეურნეობის ზოგიერთა დარგი ისეთს გარემოებათა შორის შეისწავლონ, რომელსაც მათის ჯანმრთელობისათვის სარგებლობის მოტანა შეეძლება. ახალშენში მიიღებიან მხოლოდ იგინი, ვისაც 2-კლასიანი სასწავლებელი ექმნება გათავებული. ახალშენში იქმნებიან სახელმწიფო ხარჯით მოსწავლენიც და თავისის ხარჯითაც შეეძლებათ შესვლა. თავისს ხარჯზედ ახალშენში შემსვლელმა წლიურად 200 მან. უნდა გარდაიხადოს. ახალშენის გამართვას 35,000 მან. სჭირდება. ადგილი, სადაც ახალშენი იქმნება გამართული, ჯერ არ არის დასახელებული

— პროფესსორი რუდოლფ ვირხოვი უკვე ჩასულა მოსკოვში.

— მომავალ სამოსწავლო წლიდგან, ს. პეტერბურგის უნივერსიტეტში ცნობილი იურისტი და სენატორი ა. ფ. კონი პრივატ-დოცენტად იქმნება ჩარიცხული და სპეციალურს კურსზედ ლექციებს იკითხავს სისხლის სამართლის შესახებ: „Объ основныхъ началахъ дѣятельности органовъ уголовнаго правосудія“. გარდა კონისა იურიდიულს ფაკულტეტზედ დოცენტების უფლებით ლექციებს წაიკითხვენ მაგისტრი ვ. მ. გრიბოვსკი (по энциклопедіи и философіи права) და ლ. ი. პეტრაჟიცკი — (введеніе въ науку политики гражданскаго права).

— ს. პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში შემსვლელთათვის მისაღები ეგზამენები 18 აგვისტოს დაიწყება.

## უცხოეთი

—

**ინგლისი.** გაზ. „Morning Post“-ი სწერს, რომ თუ რუსეთი, საფრანგეთი და გერმანია ერთმანეთში შეთანხმდნენ, გაჭირვების დროს ერთი მეორეს დაეხმარებიან და ეს გარემოება-კი ინგლისის გაფართოვებას ხელს შეუშლის და საერთოდ ხეირს არ დააყრის სახელმწიფოს კეთილდღეობასაო. ინგლისის გაზეთები დიდს მნიშვნელობას აძლევენ გერმანიის იმპერატორის ვილჰელმ II-ის რუსეთში მოგზაურობას. მათის აზრით შეიძლება ამ მოგზაურობას გერმანიის რუსეთთან დაახლოვება მოჰყვეს. ინგლისს აქამდის პოლიტიკაში და საერთოდ ყველა საქმეში ხელს უწყობდა ის გარემოება, რომ ევროპა დღემდის ორ დიდ, ერთი მეორის მოწინააღმდეგე, ბანაკად იყო გაყოფილი: ერთის მხრით ორთა კავშირი, მეორისა—სამთა. მათ შორის დიდი განხეთქილება იყო ჩამოგდებული და მუდამ დიპლომატიურს ბრძოლაში იყვნენ. ინგლისი ამით სარგებლობდა და ხან ერთის მხარს იჭერდა, ხან მეორის. სადაც მეტის გამორჩენის იმედი იყო, ისიც იქით მიიწევდა დ ასეთის პოლიტიკის წყალობით მუდამ სარფაში იყო ხოლმე. ეხლა-კი საქმე სულ სხვა-ნაირად მიდის. თუ მართლა გერმანიის იმპერატორის რუსეთში მოგზაურობას ის შედეგი ექმნება, რომ რუსეთი და გერმანია ერთმანეთს დაუახლოვდებიან და დამეგობრდებიან, მაშინ ხომ სამთა და ორთა კავშირის შეერთება და შეთანხმება ძნელი საქმე აღარ იქმნება. ამ შემთხვევაში მთელი ევროპა, ინგლისის გარდა, ერთგვარს მიმართულობას დაადგება, ხოლო ეს უკანასკნელი-კი, რადგანაც მარტოდ-მარტო დარჩება, იძულებული იქმნება ყველაფერში ევ-

ქილის ლუკმის გადაყლაპვასაც ვერ ვახერხებთ.

საგანი, ფრიად საყურადღებო მთელის იმპერიის თავად-აზნაურთათვის, არის კიდევ უმაღლესად დაარსებული კომისსია, რომელსაც მინდობილი აქვს იმპერიის თავად-აზნაურთა მდგომარეობის გასაუმჯობესებელი ღონისძიებანი გამოიკვლიონ. თქვენს ყურებს რომ გაეგონათ, არ დაიჯერებდით ამერეთის თავად-აზნაურობისაგან ხელ-ახლად ამორჩეულის მეთაურის აზრს იმის შესახებ, თუ რა გვარი საშუალებანი დაიხსნის თავად-აზნაურობას ეხლანდელის გაჭირვებისაგან.

ასეთის სიჩქარითა და წინ-დაუხედაობით, ასე ადვილად ვსჯით ჩვენ მძიმე და სერიოზულს საგნებს; მათის გარდაწყვეტისათვის თავის ტეხას როდი დავიწყებთ. დიაღ, ასეთს დროში, როცა თვით მთავრობა მოწადინებულია თავად-აზნაურობას ხელი გაუმართოს, მიანიჭოს ხალხს თვით მმართველობა და ახალი სამართალი (ნაფიც მსაჯულებისა) იქ, სადაც ეს დაწესებულებანი არ არსებობენ, ასეთს დროში ისეთის კაცისათვის უნდა ჩაებარებინა ამერეთის თავად-აზნაურობას თავისი ბედ-იღბალი, რომელმაც გამოიჩინა ფხა და უნარი საზოგადო საქმეების მართვა-გამგეობისა, მათის განწეს-რიგებისა. ასე-კი მოხდა?..

რატომ არ მოხდა ასე? ამისი მიზეზი გახლავთ საზოგადოების წინაშე თავის მოვალეობის დავიწყება და ქენის გამეფება, რომელიც სცდილობს გამოიჩინოს თავისი ძალი, თუ გინდ ამ გვარი გამოჩენა სისუსტისა და უძლურების მომასწავებელიც იყოს. მიზეზი გახლავთ ის უცნაური შეხედულება საზოგადო საქმეებზედ, რომელმაც დაიბუდა უკანასკნელს ხანს ჩვენს საზოგადო საქმეებში. ოღონდ ჩემს წინააღმდეგს არ ვასიამოვნო და ჩემი მომხრე-კი გავახარო და თუნდა მთლად დაიღუპოს ჩემი ქვეყანა, თუმც შესაძლებელია ქვეყნის დაღუპვას ჩემი დაღუპვაც მოჰყვესო. ჩემს მოქიშპეს-კი ვაჯობო და თუ გინდ ქვა ქვაზედაც ნუ ყოფილაო—აი ის სტიმული, ის წამქეზებელი ძალი, რომელიც ჰმართავს დღეს ჩვენს საზოგადოებრივს გრძნობებს. საქმეს-კი არ ეტანებიან, საქმის გამარჯვებას-კი არა ჰფიქრობენ, ამა თუ იმ პირადობის გამეფებასა, ამა თუ იმ პირადობის დამარცხებას სცდილობენ. როცა საზოგადოება დედა აზრებს-კი არ ებრძვის და არ იცავს, როცა პირადობას არ ებრძვის, როგორც ამა თუ იმ პრინციპის აღმასრულებელს ანა და სრულიად უპრინციპო არსებას, არამედ მხოლოდ და მარტო პირადობის დამარცხება—გამარჯვებად მიაჩნია, მიუხედავად იმისა, სასარგებლო აზრის მომხრეა ეს პირადობა თუ არა, თავისის მოქმედების საგნადა და აზრად, მაშინ საქმე წამხდარია და საზოგადოებაც უკუღმართობის ნიშნებს იჩენს.

არ შეიძლება დიდის საყვედურით არ მივმართოთ იმ ნაწილს საზოგადოებისას, რომელიც გვგონია სამშობლოსა და ქვეყნისათვის თავ განწირულ მოღვაწეობის შემძლებად, მიგვაჩნია სულითა და გულით საზოგადო საქმეების ერთგულად და დიდს გულ-გრილობას-კი იჩენს, როცა საზოგადო საქმე ხიფათშია. რომ გამოჩენილიყო ადამიანი და თავისი პირადი კმაყოფილება და პირადი სიამოვნება დაეთმო საზოგადოების კეთილ-დღეობისათვის, მაშინ ეჭვი არ არის, ასეთი საქმე არ დაგვემართებოდა, ასეთს მწყემს ცხოვარს არ მივაბარებდით. მაგრამ ჩვენი უბედურებაც ის არის, რომ ხეირიანი საზოგადო საქმეს გაურბის და უხეირო-კი ეტანება. ასე გეგონებათ, უხეიროს უფრო კარგადა აქვს შეგნებული საზოგადოებისთვის სამსახურის დიდი მნიშვნელობაო. ეს ასეა თუ არა, რა მოგახსენოთ, და ის-კი ვიცით, ჩვენ ისეთი ხეირიანი კაცები, თუ სულ არა, ძალიან ცოტა გვყავს, რომელთაც ესმოდეთ საზოგადო საქმის მნიშვნელობა, იცოდნენ ყოველნაირი (პირადი და საზოგადო) სარგებლობა საზოგადოებისათვის სამსახურისა, გულითა და სულით თავგანწირული იყვნენ ამ გვარის საქმისათვის.

ვერ შეგვიგნია ჯერ ის დიდი მცნება, რომ „საქმენი ჩვენი გამოგვაჩინებენ ჩვენ“, ვერ შეგვიგნია, რომ ჩვენი გამსაუკუნოებელი, ჩვენის უკვდავების საფუძველი საზოგადო საქმისათვის თავ-განწირული სამსახურია და ვიდრე ეს ძვალ-რბილში არ გაუჯდება უკეთესს ნაწილს საზოგადოებისას, საზოგადო საქმეებში ასეთის მიმართულების მოსპობას ვერ მოვესწრებით.

ვიდრე საზოგადოების სამსახური ჩვენთვის არ შეიქმნება სასიამოვნო და სასურველ მოვალეობად, ვიდრე ამ გვარის მოვალეობის აღსრულება სიხარულით არ მიგვიზიდავს და არ გაგვიტაცებს, მანამდის არა ეშველება-რა ჩვენის საქმეების გამოცოცხლებას, ჩვენის საზოგადოების გამოფხიზლებას.

ხოლო როდემდის ვიქმნებით ასე?!.

კოტე აბაშიძე.

როპას დაემორჩილოს და ისე მოიქცეს, როგორც ეს უკანასკნელი მოიწადინებს. მართალია, ძნელი მოსალოდნელია, რომ ყველა ზევით მოხსენებული გამართლდეს, მაგრამ, რადგან ქვეყანაზედ მოუხერხებელი არაფერია, ინგლისელები მაინც ძალიან დააფიქრა ამ გარემოებამ და ყოველს საშუალებასა ხმარობენ იმის განხორციელების წინაღმდეგ. გაზეთე'ი თითქმის ერთხმად ურჩევენ მთავრობას, რომ მან დაასწროს გერმანიას და თვით დაუმეგობრდეს რუსეთსა და საფრანგეთს. გაზ. „Nineteenth Centruy“-ში დიდი წერილია დაბეჭდილი, რომელშიაც ავტორი ამტკიცებს, რომ ინგლისი უეჭველად საფრანგეთ-რუსეთის კავშირს უნდა შეუერთდესო. ავტორის აზრით, ამ საქმის სისრულეში მოყვანა არც ისე ძნელი საქმეა, როგორც უმეტესობასა ჰგონია. ინგლისსა და რუსეთს შორის მტრობა და სიძულვილი არასოდეს არა ყოფილა, პირიქით, ეს ორი წელიწადია მუდამ პატივისცემითა და სიყვარულით ეკიდებოდნენ ერთმანეთსაო.

**კრიტი.** „Standard“-ს დეპეშითატყობინებენ კონსტანტინეპოლიდგან: ჯევად-ფაშა სწერს მთავრობას, რომ თუ ცოტა ოდენ ჯარსა და საჭირო იარაღს კიდევ გამომიგზავნით, კრიტის მცხოვრებლებს სულ მცირე ხანში დავაწყნარებო“.

არც მეამბოხენი არიან თურმე გულსხელ-დაკრეფილნი და სცდილობენ ოსმალები გარეკონ როგორმე კუნძულიდგან. კანდიიდგან დეპეშით ატყობინებენ „Secolo“-ს, რომ ათასზე მეტმა მეამბოხემ სთხოვა პოლკოვნიკს ვასოსს, მოდი, წინამძღოლობა გაგვიწიე, რომ ოსმალეთის ჯარი, რომელიც მოსვენებას არ გვაძლევს, კუნძულიდგან განვდევნოთო.

## დამატკბილი

უველა ამლევს ნებას თავისს თავს აქოს თავისი გული, მაგრამ ჭკუის ქებას კი ვერავინა ჰბედავს.

ლაროშფუკო

***

ერთი სიტყვა ხშირად წინ გადაგვიშლის ხოლმე სავსებით სიღრმეს გულისასა და სიდიადეს სულისას.

მარიამ ებნერ-ეშენბახი

***

ქვეყნად ცოტანი არ არიან ისეთნი, რომელთაც ჰსურთ თვალები დახუჭონ და ყურებით დაინახონ.

პიერემონტი

## წვრილი ამბავი

ჩიკაგოში ერთი მდიდარი ქალი ქმარს გაეყარა. ამასთანავე სამოსამართლო პალატამ გადასწყვიტა, რომ ქალმა ყოველ წელიწადს ქმარს ფული აძლიოს, რადგანაცაო, დასძინა სასამართლომ, ამ ჟამად ქალები სცდილობენ ისეთივე უფლებანი შევიძინოთ, როგორიც მამაკაცთ აქვთო და, მაშასადამე, ქალმაც უნდა იკისროს ქმრის შენახვა, როგორც ქმრები ინახავენ ცოლებსაო.

* * *

ნიუ-იორკში დაარსებულა ერთი ახირებული საზოგადოება, რომლის წევრებად მხოლოდ გასათხოვარი ქალები არიან. ამ საზოგადოებას აზრადა აქვს ცოლები შერთოს კუზიანებს, კოჭლებს, უხელოებს, ბრმებს და სხვ. საზოგადოების წევრად მიიღებიან გასათხოვარი ქალები და ქვრივები 30 წლამდე. ამასთანავე ეს ქალები სრულიად ჯან-საღნი უნდა იყვნენ. საზოგადოების წევრს ქალს ხელ-წერილსართმევენ, რომ იგი მოვალეა მხოლოდ მახინჯსა და და ბუნებით დაჩაგრულ კაცზედ გათხოვდეს.

***

ქალაქ უფის გუბერნატორად ნამყოფმა ბ-მა ტალიზინმა გამოსცა წიგნი, რომელშიაც მოთავსებულია ზოგიერთი მეტად სასაცილო პროტოკოლი, პოლიციის მოხელეთა მიერ შედგენილი. აი, მაგალითად, რასა სწერს ერთი ბოქაული: „ამა და ამ კაცმა უკანონოდ თავი მოიკლა, რისგანაც, გამოურკვეველ მიზეზისა გამო, სიკვდილმა შეიპყრო. გამოძიების დროს აღმოჩნდა: ქერის მეორე ნახევარი გახვრეტილია, დანარჩენი ყბები ვიპოვნეთ შუბლის ჰრილობაში, ტყვია უკან წავიდა, ვინაიდგან ოთახი აღმოსავლეთისაკენ არის აშენებული“.

უფის გუბერნიის ერთის მაზრის უფროსს დაუწერია: „ვიპოვნეთ გვამი უცნობის კაცისა; რომ გავჭერით, აღმოჩნდა: უცოლშვილო, მართლ-მადიდებელთა სარწმუნოებისა, სამართალში ჯერ არა ყოფილა.

ერთის ბოქაულის თანაშემწეს კიდევ დაუწერია: „ქალი № მეტად უმანკოდა სცხოვრობს. ათი წელიწადია, რაც ქმარს გაეყარა. ორი კანონიერი შვილი ჰყავს. ერთი 5 წლისა და ერთიც—2 წლისა.

***

ქალაქ მილლოს მიდამოების ერთს მემამულეს უყიდნია როდეზში ღორი, დაუკლავს და მუცელში უპოვნია ფულის ქისა, რომელშიაც ორი ბილეთი ყოფილა ბანკისა, ღირებული 2000 ფრანკად. „ბედი მომეცი და სანახვეზედ გადამაგდეო“, სწორედ ამაზედ ითქმის.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

2 აგვისტო

**პეტერბურგი.** ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ ინება, რომ კნ. ბარიათინსკის მიერ განზრახულ შეუძლებელ ჰლექით ავადმყოფთა სამკურნალო-თავშესაფარისათვის, რომელიც ყირიმში უნდა იქმნეს გამართული, შეწირულობა მთელს იმპერიაში იქმნას შეკრებილი. შეწირულებანი მხოლოდ დავალებულ სახელმწიფო მოხელეთა და დაწესებულებათ უნდა შეჰკრიბონ და ეს თანხა ადგილობრივ გუბერნატორების ხელით ტავრიდის გუბერნიაში დაარსებულს კომიტეტს გარდაეცეს, რომელსაც ადგილობრივი გუბერნატორი ჰთავმჯდომარეობს.

**კრასნოე სელო.** მათნი იმპერატორებითნი უდიდებულესობანი დაბანაკებულ ჯარების ბაირაღების კურთხევას დაესწრნენ.

**კონსტანტინოპოლი.** ამბავი იმის შესახებ, ვითომ სომეხთა შორის მოძრაობა რამ იყოს და დემონსტრაციებს ახდენდნენ, ეჭვი არ არის, ტყუილია. სომეხთა უკიდურეს მიმართულების წარმომადგენელნი და აგრეთვე მათი კომიტეტები სომეხთა შარშანდელ ამოხოცვისაგამო სრულიად გულ-გატეხილები და დაწყნარებულები არიან.

**მილანი.** სამი ანარქისტი შეიპყრეს ამ ანარქისტთა შეპყრობას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგანაც მათ აჩჩიარიტოს შეთქმულებასთან კავშირი აქვთ. აღმოაჩინეს და წაართვეს იარაღი და წერილები, ამათ შორის კაზერიოსი, ლეგასი და აჩჩიარიტოსი.

**პარიზი.** 2 აგვისტოს ტურინის გრაფსა და ორლეანის პრინცს ბრძოლა ექმნებათ, რადგანაც ერთმანეთი ხმალში გაითხოვეს.

**კილი.** გემი „ჰოჰენცოლერნი“ უკვე მოვიდა აქ.

**მადრიდი.** კანოვასი დიდის დიდებით იქმნა დასაფლავებული. პროცესიაში დედოფლის წარმომადგენელნი, მთავრობა, ოპოზიციონურ დასთა ყველა წარმომადგენელნი, ყველა დიპლომატები და მრავალი დელეგაცია იღებდნენ მონაწილეობას. მიცვალებულის გვამი სან-იზიდოროს სასაფლაოზედ იქმნა დასაფლავებული საოჯახო აკლდამაში. როდესაც კუბო უნდა ჩაეშვათ, ქ-ნმა კანოვასომ სთქვა, მკვლელს დანაშაულს ვაპატიებ, რადგანაც კანოვასოს დიდებულს გულს მარგად ვიცნობო.

პეტერბურგის ბირჟა, 1 აგვისტო

| | მყიდველისა | გამყიდველისა | გაყიდულისა |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ მანეთიანი ოქრო . . . . . | „ — | — „ | — „ |
| 5%.-ნი მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . | — „ | — „ | 206 |
| $4\frac{1}{2}$% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა . . | $100\frac{5}{8}$ | — „ | — „ |
| 6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკისა . | $102\frac{1}{2}$ | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. | $99\frac{3}{4}$ | — „ | — „ |
| 6% ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . | $102\frac{1}{2}$ | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. | $99\frac{3}{4}$ | — „ | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა . . . | $99\frac{1}{2}$ | — „ | — „ |
| % პირველი შიგან სესხის მომგებიანი ბილეთი . | — „ | — „ | 287 |
| 5% მეორე შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი . | — „ | — „ | 246 |

## „ივერიის“ ფოსტა

**ი. მ—ს:** თქვენი ლექსი არ დაიბეჭდება, გწერთ ისე, როგორც თქვენი სურვილია.

**დ. ჩ—რი. ე. ბ—შვილს:** თქვენი ლექსი „სამშობლო“ არ დაიბეჭდება.

**ქ. ს—ღი. თ. თ. მ—შვილს:** თქვენს პასუხის პასუხში ახალი არაფერია, განმეორებაა ერთხელ უკვე თქმულისა და ამ წერილს უფრო საპოლემიკო ხასიათი აქვს. ამიტომ არა ვბეჭდავთ.

**ქ. ბ—რი. ა. დ. ბ—შვილს:** თქვენი წერილი დაგვიანებულია.

**დ. ხ—ი. შავია—ლიას:** თქვენი „ნამდვილი სიზმარი“ არ დაიბეჭდება.

**ერთს:** მუშტაიდში ნუღარ ივლით, მაგისთანა ქარაფშუტა კაცების ნათქვამს ყველგან გაიგონებთ.

**სოფ. ვარდისუბანი. ს. თ—შვილს:** თქვენს წერილს შეუცვლელად ვერ დავბეჭდავთ: ის საგანი, რომელსაც თქვენ ეხებით, ახალი საქმეა და საკეთილოდ არ მიგვაჩნია პირველშივე ამ საქმის გამგეთ აბრუ გავუტეხოთ. თუ გნებავთ, ამ აბრუ გასატეხს ადგილებს ამოვშლით და ისე დავბეჭდავთ.

**ყ. იპოსელს:** თქვენ მიერ გამოგზავნილი „ნაწყვეტი“ არ დაიბეჭდება.

**ა. ციხ—შვილს:** თქვენს ცნობებს ყოველთვის სიამოვნებით მივიღებთ.

**ახკანა. მ. ნ—ძეს:** სამწუხაროდ, აღკრძალული გვაქვს ბ-ნ მ—კისთანა უკუღმართ პედაგოგებზედ წერა. საერთო სახივარით მიჰმართეთ მაგ ვაჟბატონის უფროსს, იქნება შეისმინონ.

**გურია. კოხელს:** საბუთი გვინდა, რომ თქვენ მიერ მოწერილი წერილი წიგნთსაცავის შესახებ დაიბეჭდოს.

## წერილი რედაქციის მიმართ

ამას წინად „ივერიის“ ერთს №-ში დაიბეჭდა მცირე შენიშვნა, რომელიც მეკუთვნოდა მე და შეეხებოდა ჟურნალ-გაზეთების ხელის-მომწერლებისაგან უწეს-რიგოდ მიღებას. მაგრამ ამის მიუხედავად, ამ გვარი ურიგო და არა-სასიამოვნო გარემოება ისევ თავისს ჩვეულებრივს ნიადაგზედ სდგას. აგერ ორს კვირაზედ მეტი გადის და ერთი №-ც არ მიმიღია. ასეთივე დღე, კიდევ უმწარესიც, ადგია ჟუნალს „Нива“-ს, რომელიც მე მაქვს გამოწერილი. არ გასულა ოთხი თვეც, რომ ოთხი № ჟურნალისა თავის „приложенія“-ებით სადღაც უფსკრულ ზღვაში ჩაინთქა, რითაც ზარალი მომეცა 2 მან. 50 კაპ. არა ნაკლებ. თქვენი გაზეთის დაკარგულს №№ ხომ ანგარიში არა აქვს!.. იმ არა სასიამოვნო გარემოებას, რომ რამდენისამე დღის დაგროვილს №№ ერთად მივიღებდით და წინა №№ ვღებულობდით მაშინ, როდესაც მას შემდეგ გამოსული №№ უკვე წაკითხული გვქონდა, როგორც იქნებოდა გავუძლებდით, №№ რომ არ იკარგებოდეს. თუმცა ახალი ამბავი დაგვიძველდებოდა, მაგრამ სალიტერატურო განყოფილებით მაინც ვისარგებლებდით. საუბედუროდ ჩემდა, როგორც სოფლის მასწავლებლების მდგომარეობა კარგად მოგეხსენებათ, მე იმდენი ჯამაგირი არა მაქვს, რომ, რამდენი №-ც დაიკარგება, ისევ გამოვიწერო და დაკარგული №№ შევავსო. ვისაც მივმართე თხოვნით, რომ, თუ შეიძლებოდეს, ჟურნალ-გაზეთები რიგიანად გვიგზავნეთ-მეთქი, ყველამ ასე მიპასუხა, რომ „ვალდებული არა ვართ თქვენი ჟუნალ-გაზეთები გიგზავნოთო“. მაშ რადგანაც ასეა და არავინ ვალდებული არა ყოფილა, რომ ჟურნალ-გაზეთები ხელის-მომწერლებს გადასცეს, ერთი-ღა საშუალება დამრჩენია: გაზეთის მიღებაზედ ძალა-უნებურად უარი უნდა განვაცხადო*).

მასწავლებელი ამაშუკეთის სკოლისა

ქ. მიქაუტაძე

*) ვბეჭდავთ ამ წერილს, შორაპნის მაზრის სოფ. ამაშუკეთიდგან მიღებულს. ეს წერილი კარგად ახასიათებს საქციელს ჩვენის ფოსტის მოხელეებისას. ვკითხავთ: ნუ თუ ასეთს ამბავს დასასრული არ ექმნება და სოფლად მყოფნი ხელის-მომწერელნი არასოდეს არ ეღირსებიან თავისის ოფლით მონაგარ ფულით დაკვეთილ ჟურნალ-გაზეთების წესსა და რიგზედ დროიანად მიღებას?!.

რედ.


# განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა (კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული (სიფილისი) და შინაგანი.

ყ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი.—დილის 11—12 ს. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფებს.

ა. ბ. კარაპეტიანცი. 1—$1\frac{1}{2}$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

ა. გ. გურკო. დღით $1\frac{1}{2}$—$2\frac{1}{2}$ ს. შინაგანი, ყურის, ყელის და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

ა. მ. პუდინოვი. 6—7 საათ. შინაგან, ბავშვებისა და ნერვებისა.

ტ. ი. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана*.

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

(წ)

მაქვს პატივი ვაუწყო

ბ-ნთ თამბაქოს პლანტატორებს, მეფაბრიკეთ და დაუჭრელ თამბაქოთი მოვაჭრეთ,

რომ ახლად გავაღე ადგილობრივის

დაუჭრელ თამბაქოს საწყობი

ქ. ტფილისში, რიყეზედ, ქ-ნის ხოსროევის ქარვასლაში.

დავშთები პატივისცემით შახნაზარ-ათაბეგიანცი

(3—150—1)

საკომერციო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის

(წელი მეთექვსმეტე)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ ატესტატები ეძლევათ. 1897—8 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქნება სასწავლებელი: 1) საკომერციო ეკონომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხგალტერია (მარტივი, ორიც და საბანკო), 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით, 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა გაკრული და შნოიანი (исправленіе дурного почерка).

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდგან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 1 სექტემბრიდამ, ყოველ დღე დილის 10 საათიდამ თერთმეტამდე და საღამოს 4 საათიდამ 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა № 9 სერგიევისა და ნაგორნის ქუჩაზედ, ავთიაქის პირდაპირ.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკირო კანტორაში, სიონის ქუჩაზედ.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრებს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს ს. ფ. მანსველიანცს, ტფილისს. (24—127—10)


Дозволено цензурою. Тифлисъ 2-го Августь 1897 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.